პრაქტიკის კვლევა

სწავლების პრაქტიკების როლი სწავლის შედეგების მიღწევაში

საუნივერსიტეტო კურსისთვის „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“

ირაკლი მაჭარაშვილი

ქეთევან სხილაძე

დავით ცირამუა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე ჯიბლაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ირაკლი მაჭარაშვილი, ქეთევან სხილაძე, დავით ცირამუა

30 ივნისი, 2022

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში მხარდაჭერისთვის გვინდა მადლობა გადავუხადოთ იმ ადამიანებს, ვინც დრო და ენერგია არ დაიშურა ღირებული უკუკავშირისა და აკადემიური კონსულტაციისთვის.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ წინამდებარე კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორ ელენე ჯიბლაძესა და პროექტის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორ მაკა ლაშხიას, კვლევის თითოეულ ეტაპზე აქტიური ჩართულობისა და გაწეული შრომისთვის.

მადლობას ვუხდით მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალს, ვინც ჩართულია საუნივერსიტეტო სასწავლო კურსის „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“ სწავლებისა და დაგეგმვის პროცესში და აქტიური მონაწილეობა მიიღეს დიაგნოსტიკური კვლევასა და ინტერვენციების ეტაპზე. ასევე მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებს, რომლებიც ჩართული იყვნენ ფოკუსჯგუფებსა და პრაქტიკის კვლევის ინტერვენციის ჯგუფებში.

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი პრაქტიკის კვლევის პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს საუნივერსიტეტო მასშტაბური სასწავლო კურსისთვის „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“ შეისწავლოს სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებული გამოწვევები. მკვლევართა მიზანია, თეორიულ ჩარჩოსა და კვლევაზე დაფუძნებული ინტერვენციების დახმარებით, კურსში გატარდეს ისეთი ცვლილებები, რომელსაც დადებითი გავლენა ექნება სწავლის შედეგების მიღწევაზე.

პრაქტიკის კვლევის ამოცანების შესასრულებლად, სასწავლო კურსის კოორდინატორთან თანამშრომლობით, ჩატარდა კვლევის სრული ციკლი - დაიგეგმა დიაგნოსტირების ეტაპი, რა დროსაც გამოვლინდა რამდენიმე ისეთი ფაქტორი, რომელსაც შესაძლოა დადებითი გავლენა ჰქონდეს კურსის სწავლების შედეგების მიღწევაზე. კურსის კოორდინატორისა და ინტერვენციაში ჩართული მხარეების აქტიური მონაწილეობით შემუშავდა რელევანტური ინტერვენციები. შეთავაზებული ინტერვენციების ნაწილი ექსპერიმენტულ ჯგუფში განხორციელდა. ამ გზით კურსში შეტანილ ცვლილებებს აკვირდებოდა მკვლევართა ჯგუფიც. მოგვიანებით, ინტერვენციაში ჩართული მხარეებისა და კურსის კოორდინატორისგან განხორციელებულ ინტერვენციებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, განისაზღვრა სამომავლო რეკომენდაციები კურსის ადმინისტრირებისა და სწავლების პროცესისთვის.

კვლევა ქართული უმაღლესი განათლების სისტემისთვის შინაარსობრივად სიახლეა და ამასთან, ქმნის საფუძველს ამავე თემაზე მომუშავე მკვლევრებისთვის, უფრო სიღრმისეულად იკვლიონ სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებული პრობლემები. კვლევის მიგნებები მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების ადმინისტრატორებისთვისაც, რათა ეფექტიანად და სტუდენტზე ორიენტირებულად დაგეგმონ ზოგადსაუნივერსიტეტო მასშტაბური ზომის სასწავლო კურსები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მასშტაბური სასწავლო კურსების ადმინისტრირება, სწავლის შედეგების გაუმჯობესება, სწავლების პრაქტიკები, სწავლის შედეგებზე მოქმედი ფაქტორები.

Abstract

The paper presented is action research that explores the challenges of achieving learning outcomes for the large university introductory course "Introduction to Modern Thought". The researchers aim to make changes in the course with the help of a theoretical framework and research-based interventions, which will positively impact the achievement of learning outcomes.

In order to complete the action research tasks, an entire research cycle was conducted in collaboration with the course coordinator - a diagnostic phase was planned, during which several factors were identified that might positively impact the achievement of the course learning outcomes. Relevant interventions were developed with the active participation of the course coordinator and the parties involved in the intervention. Some of the proposed interventions were carried out in the experimental groups. During this phase, a group of researchers also observed changes in the course. Later, based on feedback received from the parties involved in the intervention and the course coordinator, future recommendations for the course administration and teaching process were identified.

The research is a substantial novelty for the Georgian higher education system. At the same time, it provides a basis for researchers working on the same topic to explore the problems related to learning outcomes in more depth. Research findings are also significant for higher education administrators to plan large-scale general university-wide courses effectively.

Keywords: administration of large-scale courses, improvement of learning outcomes, teaching practices, factors affecting learning outcomes.